# ხობის მოამბე

№1 (7104) 15 თებერვალი,
პარასკევი, 2019 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო




## ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის შეხვედრა ხობში

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში მოსახლეობასთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.





პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო კილაძემ და კომიტეტის წევრმა ხობის მაჟორიტარმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ ისაუბრეს კომიტეტის მიერ 2018 წელს განხორციელებული რეფორმების, ამ რეფორმებით მიღებული სიკეთეების და სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ.

შეხვედრაზე მოქალაქეებს გააცნეს „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონი და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები.

შეხვედრის მიზანი იყო მოქალაქეებს უშუალოდ კანონმდებლებისგან მიეღოთ ინფორმაცია ორი მთავრი რეფორმის შესახებ, რომელიც კომიტეტმა 2018 წელს განახორციელა და მეორე მხრივ, დეპუტატებს მოსახლეობისგან მოესმინათ მათი წინადადებები და კომენტარები შემდგომი რეაგირების მიზნით.

შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

დამსწრე საზოგადოებამ მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღო. დეპუტატებმა, უშუალოდ მოსახლეობის მხრიდან მოისმინეს პრობლემები და ისაუბრეს მათი აღმოფხვრის გზებზე.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით, მაჟორიტარი დეპუტატის და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერითა და ბრიტანეთის მთავრობის UK Aid-ის ფინანსური ხელშეწყობით გაიმართა.

## ნოჯიხევში მოსახლეობასთან კონსულტაცია გაიმართა



ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, მოსახლეობასთან კონსულტაცია გაიმართა.

მოსახლეობის მიერ, პრიორიტეტების შერჩევის პროცესს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონული განვითარების საკითხებში სოზარ სუბარი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

ნოჯიხევში მოსახლეობის უმეტესობამ ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციას და საბავშვო ბაღში სკვერის მოწყობას დაუჭირა მხარი.

ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მნიშვნელობაზე ესაუბრნენ, ასევე გააცნეს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ დაგეგმილი ღონისძიებები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსება გაორმაგდა და ხობის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 784 ათასი ლარი გამოიყოფა.

## 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

დღეს ვაქვეყნებთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებას „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალურ პროგრამას.

3-10

## ხობის ცენტრალური პარკი შენდება..







განათლება

# ფიქრები CAT-ის გამოცდებთან დაკავშირებით



ერთგვაროვანი, გადაჭრილი პასუხის თქმა იმასთან დაკავშირებით, კარგია თუ ცუდი CAT-ის გამოცდების გაუქმება, ძნელია და არც შეიძლება. ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ კარგია და ვერც იმას ვიტყვი, რომ ცუდია.

ბანალურად ვამბობ, მედალს ორი მხარე აქვს. ასეა ამ შემთხვევაშიც. კარგიცაა და ცუდიც (გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს ფაქტსა და განვითარებულ მოვლენებს).

ის, რაც ფაქტია და პოზიტიურია, უკლებლივ ყველა ბავშვს, შრომისმოყვარესაც და ზარმაცსაც, ნიჭიერსაც და უნიჭოსაც, ძლიერსაც და სუსტსაც, უკლებლივ ყველას უხარია გამოცდების გაუქმება. ეს სწორი და ლოგიკური რეაქციაა მათი მხრიდან. ქვეცნობიერში ჩვენც, მასწავლებლებსაც და სკოლის ადმინისტრაციასაც გვიხარია, სანერვიულო მოგვაკლდა, აღარ გვეყოლებიან ე. წ. ჩაჭრილები და ლაღად და ღიმილიანი სახით გავივლით ქუჩაში; არავინ ჩაილაპარაკებს ამდენი ჩაჭრილი ჰყავს სამარცხვინოდო. თუმცა, არც იმას ტყვიან, მაგარი სწავლაა ამის სკოლაში, ყველამ ჩააბარაო. მაგრამ ეს ყველაფერი ერთჯერადი სიხარულია და სწრაფად წარმავალი...

არსებობს გარეგანი და შინაგანი მოტივაცია. შინაგანი მოტივაცია ხშირ შემთხვევაში უფრო კარგად მუშაობს, მიზნის მიღწევაში მეტად ეხმარება მოსწავლეს. ამ შემთხვევაში არ არის საჭირო დამატებითი აქტივობები, სხვადასხვა მანიპულაციები შედეგის მისაღწევად. ადამიანს გააზრებული აქვს რა უნდა და იცის, რა უნდა გააკეთოს მიზნის მისაღწევად. ასეთი ბავშვებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს გამოცდას დაუნიშნავენ თუ მოუხსნიან, ვინმეს მოეწონება მათი შრომის შედეგი, დაინახავენ, შეშურდებათ თუ კიდევ ათასი რამ... მათ უნდათ, სჭირდებათ და აკეთებენ მაქსიმუმს. ასეთი მოსწავლისთვის არც არაფერი შეიცვლება. ეს ყველაფერი სულაც არაა უტოპიური და ჰაერზე ნათქვამი. ამაზე საუბრისას მე კონკრეტული მოსწავლეები მიდგანან თვალწინ. საბედნიეროდ, გვყავს ასეთი ახალგაზრდები.

სხვაგვარადაა საქმე იმ მოსწავლეებთან, ვისთანაც შინაგან მოტივაციაზე მეტად გარეგანი მოტივაცია მუშაობს. მათ ჰქონდათ დაკვეთა საზოგადოებისგან, მშობლებისგან, სკოლისგან და კიდევ ბევრი ვიღაცისგან, რომ გზის გაგრძელება თუ უნდოდათ, ან თუ სურდათ უბრალოდ ატესტატი ჰქონოდათ (სახელისთვის, დედამთილისა თუ სიდედრისთვის საჩვენებლად) და მეტი არაფერი, გამოცდა უნდა ჩაებარებინათ. ეს, თითქოს, იძულებითი მოტივაციაა, მაგრამ ზარმაც და ფონს გასვლის მოყვარულთათვის საკმარისი იყო საიმისოდ, რომ გაეკეთებინათ მინიმალური, იშვიათად–მაქსიმალურიც და ნებით თუ უნებლიეთ ცოდნასაც იძენდნენ.

საბოლოო ჯამში ისე გამოდიოდა, რომ სკოლის დამამთავრებელი გამოცდა რაღაც დოზით განაპირობებდა სწავლას, ცოდნის მიღებას. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სტანდარტთან შესაბამისობა სკოლაში მეტნაკლებად სრულდებოდა. ხდებოდა სისტემატიზება იმ ცოდნისა და უნარებისა, რომელსაც წლების განმავლობაში მცირე ულუფობით მოსწავლე იღებდა, წვეთ-წვეთად აგროვებდა. სხვათაშორის, ეს ცოდნა საგამოცდო ოთახის ზღურბლთან არ მთავრდებოდა, თან მიჰქონდა მოსწავლეს და ეხმარებოდა ცხოვრების ღირსეულად გაგრძელებაში.

მოკლედ რომ ვთქვა, გამოცდის არსებობას აზრი, დადებითი ფუნქცია ნამდვილად აქვს.

ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. აღარ გვაქვს ეს გამოცდა. სკოლიდან ყველა მე-12 კლასელი წაიღებს ატესტატს, მათ შორის წინა წლებში ჩაჭრილებიც, რადგან გამოცდაზე თუ უკვე იყვნენ გასულები, ეს ნიშნავს, რომ ყველა საგანში დადებითი შეფასება, 5 ან მეტი ქულა ჰქონდათ. ატესტატი ყველას ჯიბეში აღმოჩნდება.

თავდაპირველად ეს იმ ყოფილი მოსწავლეების განაწყენებას გამოიწვევს, ვინც შრომითა და წვალებით ჩააბარეს გამოცდები და მინიმალური ბარიერი გადალახეს ან, თუნდაც, მაქსიმალური შეფასებებით (სრული 10 ქულა) დაიმსახურეს ატესტატი.

ეს არ არის პრობლემა. წყენა მალე გადაუვლით. აქ ცუდი შეიძლება ის იყოს, რომ მოსწავლეები ნაკლებს იშრომებენ, წიგნს უფრო დაშორდებიან, თავს შეიკავებენ საბაზო საფეხურის შემდეგ სკოლიდან წასვლისაგან, ამ ასაკიდანვე პროფესიის არჩევისაგან, კოლეჯსა თუ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისგან. ეს კი, ხშირ შემთხვევაში, ტყუილად გაფლანგული საშუალო საფეხურის წლები იქნება, მეტი არაფერი.

ზოგიერთი იტყვის, სულ რაღაც სამ წელზეა საუბარიო! სულ რაღაც ოთხ წელიწადში ილია ჭავჭავაძე ერისა და ქვეყნის პატრონი დაბრუნდა სასწავლებლიდან. ცოტაა?!

ამ ყველაფრისგან თავის დასაცავად არსებობს ერთი ძალიან დიდი, კარგი და საყურადღებო მექანიზმი. ეს არის სწავლა-სწავლების ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება სკოლაში. თუ მასწავლებელი კეთილსინდისიერად იშრომებს და ექნება ადეკვატური, რელევანტური მოთხოვნები და ქულებსაც სამართლიანად დაწერს, მოსწავლეები ისწავლიან. თუ მასწავლებელი თავმოყვარეა და პატივს სცემს საკუთარ თავსაც და საქმესაც, მისი მოსწავლეები სწავლობენ. მათთვის არც არაფერი შეიცვლება.

სამწუხაროდ, ხშირად ისმის რეგიონების, სოფლების სკოლების მისამართით საყვედური, რომ სწავლის ხარისხი დაბალია, ჩვენი მოსწავლეები კონკურენციას ვერ უძლებენ და ა. შ. მაგრამ რეალობა ხშირ შემთხვევაში საპირისპიროს ადასტურებს. ჩვენი მოსწავლეები უმაღლეს შეფასებებს იღებენ მისაღებ გამოცდებზე, 100%-იანი გრანტით ირიცხებიან რჩეულ უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში სწავლისას ტოლს არავის უდებენ, წარმატებული სტუდენტები არიან. ეგაა მხოლოდ, რომ დიდ სკოლას რაოდენობრივად მეტი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს, პატარა სკოლას–ნაკლები. მაგრამ ეს ბუნებრივი თანაფარდობაა. ყველა დიდი მეცნიერი ვერ გაიზრდება და არცაა საჭირო. რეალურ ცხოვრებას პროფესიონალი სპეციალისტები სჭირდება ნებისმიერ სფეროში–აკადემიურშიც და მუშის საფეხურზეც.

ამ ფუნქციას კეთილსინდისიერი სკოლა CAT-ის გამოცდების გარეშეც შეასრულებს.

დოსტოევსკის ასეთი რამ აქვს ნათქვამი: ,,არ ეშინია მხოლოდ სულელს. ვისაც ეშინია და მაინც არ გარბის, ის ლაჩარი არ არის“. ჩვენ, მასწავლებლებს გვეშინია, ვფიქრობთ, ვნერვიულობთ, მაგრამ არ გავრბივართ, ე.ი. ლაჩრები არ ვართ და ჩვენს საკეთებელს ვაკეთებთ.

***მაია ალექსანდრია,***

***სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარიატის საჯარო სკოლის დირექტორი.***

# სიახლეები განათლების სისტემაში და ჩვენი სკოლა



განათლების რეფორმის სიახლეებს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო ეტაპობრივად აცნობს საზოგადოებას განათლების სხვადასხვა სფეროს მიხედვით.

თუ ძველი სქემის მიხედვით მასწავლებლები კრედიტებს აგროვებდნენ სტანდარტული და სამოდელო გაკვეთილების ჩატარებით, საკლუბო და საწრეო მუშაობით, ინტერაქტიული რესურსების შექმნით, მიმართავდნენ პროექტის სწავლებას. ბოლო დროს ჩაითვალა, რომ კრედიტქულების დაგროვების სისტემამ მასწავლებელი მოსწავლეს დააშორა.

მასწავლებლის ახალ სქემასთან დაკავშირებით კი გაირკვა, რომ სქემას სახელი გადაერქმევა და მას მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი დაერქმევა. ასევე 2020 წლიდან კრედიტქულების დაგროვების სისტემა უქმდება და პედაგოგები სტატუსის ამაღლებას გამოცდის საშუალებით შეძლებენ. მაგალითისთვის, პრაქტიკოს მასწავლებელს შეუძლია ჩააბაროს იმ სტატუსის შესაბამისი გამოცდა, რომელიც მას სურს და საფეხურების თანმიმდევრობით გავლა აღარ იქნება აუცილებელი.

სიახლეა ისიც, რომ 2018-2019 სასწავლო წლიდან სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სკოლის გამოსაშვები გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებისთვის მოიხსნა.

მოსწავლეებმა გაიხარეს, მასწავლებლების გარკვეული, ნაწილი კი ცოტა არ იყოს შიშით შეჰყურებს ამ ყველაფერს, მიიჩნევს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი უმოტივაციოდ იქნება გაკვეთილზე და სწავლის ხარისხი გაუარესდება.

მასწავლებელთა მეორე ნაწილს კი იმედი აქვს, რომ ყველა სიახლეს გაითავისებს. კარგი მასწავლებელი ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად კარგ მასწავლებლად დარჩება!

საატესტატო გამოცდების მოხსნით გახარებულ მოსწავლეთა შორის, გამოიკვეთა ორი კატეგორია:

ერთი ნაწილი, რომელიც სტუდენტობაზე ფიქრობს, თვლის, რომ საატესტატო გამოცდების მოხსნით მეტი დრო დარჩება ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად.

მეორე ნაწილი კი, ვისაც სტუდენტობაზე არა აქვს პრეტენზია, უბრალოდ კმაყოფილია იმით, რომ გამოცდების გარეშე აიღებს ატესტატს.

აღნიშნული სიტუაცია დიდი გამოწვევაა მასწავლებლებისთვის. ერთი შეხედვით უმოტივაციოდ დარჩენილი მოსწავლეები უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ საატესტატო გამოცდის ჩაბარება კი არაა მთავარი, არამედ ის, რომ მათ მიიღონ კარგი განათლება, ის განათლება, რაც მათ ცხოვრებაში, ხოლო მომავალში მათ შვილებს გამოადგებათ!

სიახლე გამოწვევაა სკოლის მენეჯმენტისთვისაც. დირექციას მოუწევს ფიქრი, თუ როგორ შექმნას სკოლაში ისეთი გარემო, რომელშიც ყველა მოსწავლე და მასწავლებელი კომფორტულად იგრძნობს თავს.

ამ მომენტისთვის სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში 190 მოსწავლეს 2 წამყვანი, 10 უფროსი, და 11 პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებელი ემსახურება.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი სკოლის პედაგოგებს–**ბელა ლაგვილავას** და **ნინელი ხუხიას** ვულოცავ წამყვანი მასწავლებლის სტატუსს. მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი სკოლის კიდევ 6 პედაგოგი ეცდება წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებას.

სკოლის დირექცია ცდილობს შეძლებისდაგვარად იზრუნოს განათლების ხარისხზე, მიიღოს ყველა ის სიახლე, რომელიც ახალი თაობის თანამედროვე განვითარებას შეუწყობს ხელს.

***კობა კვიკვინია,***

***სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი.***

დოკუმენტი

# 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

2018 წლის 28 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**, დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლითაც შემოსავლები განისაზღვრა 8514,6 ათასი ლარით, აქედან: გადასახდელები 8514,6 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 210,0 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 210,0 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი 90,0 ათასი ლარი. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში უმთავრეს პრიორიტეტად მიჩნეულია სოციალური სფერო, ჯანდაცვის, განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მომავალი წლისთვის დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

სხდომაზე ასევე დამტკიცდა ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 473800 ლარით, პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ყველა ის პროგრამა, რაც გათვალისწინებული იყო 2018 წელს, ამასთან პროგრამას დაემატა 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამის კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯების) თანადაფინანსება; საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება განისაზღვრა ანგარიშ-ფაქტურით წარმოდგენილი ხარჯების 0%-იდან 50%-ის ფარგლებში და არაუმეტეს 1000 ლარისა, ერთჯერადად, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე, მხოლოდ პაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით. ასევე ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის, განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით.

დღეს ვაქვეყნებთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებას ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალურ პროგრამას.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №44

2018 წლის 28 დეკემბერი ქ. ხობი

## ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

განისაზღვროს:

ა) შემოსულობები 8514,6 ათასი ლარით;

ბ) გადასახდელები 8514,6 ათასი ლარით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 210,0 ათასი ლარით, მათ შორის:

გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 210,0 ათასი ლარი;

დ) სარეზერვო ფონდი 90,0 ათასი ლარით.

**მუხლი 2.**

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართულის სახით.

**მუხლი 3.**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილება.

**მუხლი 4.**

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

ედიშერი ჯობავა,
საკრებულოს თავმჯდომარე.

დანართი

## ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

## თავი I

### ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **11856.-4** | **13611** | **4927.4** | **8683.6** | **8424.6** | **0** | **8424.6** |
| გადასახადები | 7560.7 | 6226.7 | 0 | 6226.7 | 7750 | 0 | 7750 |
| გრანტები | 3755 | 6937.4 | 4927.4 | 2010 | 210 | 0 | 210 |
| სხვა შემოსავლები | 540.7 | 446.9 | 0 | 446.9 | 464.6 | 0 | 464.6 |
| **ხარჯები** | **6098.3** | **7548.1** | **157.7** | **7390.4** | **7609.8** | **0** | **7609.8** |
| შრომის ანაზღაურება | 1754.9 | 1997.1 | 0 | 1997.1 | 1997.1 | 0 | 1997.1 |
| საქონელი და მომსახურება | 1165.2 | 1152.2 | 157.7 | 994.5 | 1021.1 | 0 | 1021.1 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პროცენტი | 54.5 | 87.2 | 0 | 87.2 | 71.6 | 0 | 71.6 |
| სუბსიდიები | 2660.4 | 3411.5 | 0 | 3411.5 | 3881.2 | 0 | 3881.2 |
| გრანტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 424.2 | 478.4 | 0 | 478.4 | 497.1 | 0 | 497.1 |
| სხვა ხარჯები | 39.1 | 421.7 | 0 | 421.7 | 141.7 | 0 | 141.7 |
| **საოპერაციო სალდო** | **5758.1** | **6062.-9** | **4769.7** | **1293.2** | **814.8** | **0** | **814.8** |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 5590.5 | 8222.4 | 5817.5 | 2404.9 | 620 | 0 | 620 |
| ზრდა | 5695.8 | 8312.4 | 5817.5 | 2494.9 | 710 | 0 | 710 |
| კლება | 105.3 | 90 | 0 | 90 | 90 | 0 | 90 |
| **მთლიანი სალდო** | **167.6** | **-2159-.5** | **-1047.8** | **-1111.7** | **194.8** | **0** | **194.8** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-5.2** | **-2318.-4** | **-1047.8** | **-1270.6** | **0** | **0** | **0** |
| **ზრდა** | **909.9** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 909.9 | 0 | | | 0 | 0 | 0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სესხები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კლება | 915.1 | 2318.4 | 1047.8 | 1270.6 | 0 | 0 | 0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 915.1 | 2318.4 | 1047.8 | 1270.6 | 0 | 0 | 0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სესხები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-172.8** | **-158.9** | **0** | **-158.9** | **-194.8** | **0** | **-194.8** |
| ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საგარეო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშინაო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კლება | 172.8 | 158.9 | 0 | 158.9 | 194.8 | 0 | 194.8 |
| საგარეო | 22.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშინაო | 150.1 | 158.9 | 0 | 158.9 | 194.8 | 0 | 194.8 |
| **ბალანსი** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |

**მუხლი 2. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | | **11961.7** | **12095.7** | **3602.4** | **8493.3** | **8514.6** | **0.0** | **8514.6** |
| შემოსავლები | 1 | 11856.4 | 12005.7 | 3602.4 | 8403.3 | 8424.6 | | 8424.6 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 105.3 | 90.0 | 0.0 | 90.0 | 90.0 | 0.0 | 90.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 32 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | | **11966.-9** | **14414.1** | **4650.2** | **9763.9** | **8514.6** | **0.0** | **8514.6** |
| ხარჯები | 0.0 | 6098.3 | 7302.0 | | 7302.0 | 7609.8 | | 7609.8 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | | 5695.8 | 6953.2 | 4650.2 | 2303.0 | 710.0 | | 710.0 |
| ვალდებულებების კლება | | 172.8 | 158.9 | | 158.9 | 194.8 | | 194.8 |
| ნაშთის ცვლილება | | -5.2 | -2318.4 | -1047.8 | -1270.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

4

დოკუმენტი

# 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

3

**მუხლი 3. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8424,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **11,85-6.4** | **12,00-5.7** | **3,602.4** | **8,403.3** | **8,424.6** | **0.0** | **8,424.6** |
| დამატებითი ღირ. გადასახადი | | 0.0 | | | 3,250.0 | | 3,250.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 2,287.4 | 946.4 | 0.0 | 946.4 | 0.0 | 0.0 | |
| ქონების გადასახადი | 5,273.3 | 5,000.0 | 0.0 | 5,000.0 | 4,500.0 | 0.0 | 4,500.0 |
| გრანტები | 3,755.0 | 5,612.4 | 3,602.4 | 2,010.0 | 210.0 | 0.0 | 210.0 |
| სხვა შემოსავლები | 540.7 | 446.9 | 0.0 | 446.9 | 464.6 | 0.0 | 464.6 |

**მუხლი 4. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 7750,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | **11** | **7560.7** | **6226.7** | **0** | **6226.7** | **7750** | **0** | **7750** |
| **საშემოსავლო გადასახადი** | | **2287.4** | | | **1226.7** | | | |
| **ქონების გადასახადი** | **113** | **5273.3** | **5000** | **0** | **5000** | **4500** | **0** | **4500** |
| **საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)** | **113111** | **3198.5** | **3128** | | **3128** | **2328** | | **2328** |
| **უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)** | **113112** | **0** | **0** | | | **0** | | |
| **ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)** | **113113** | **2.6** | **2** | **0** | **2** | **2** | **0** | **2** |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | -0.1 | 2 | | 2 | 2 | | 2 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | 1131132 | 2.7 | 0 | | | 0 | | |
| **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** | **113114** | **270** | **240** | **0** | **240** | **305** | **0** | **305** |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 82 | 60 | | 60 | 95 | | 95 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 188 | 180 | | 180 | 210 | | 210 |
| **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** | **113115** | **1802.2** | **1630** | **0** | **1630** | **1865** | **0** | **1865** |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 55.3 | 30 | | 30 | 55 | | 55 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 1746.9 | 1600 | | 1600 | 1810 | | 1810 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 1136 | 0 | 0 | | | 0 | | |
| სხვა გადასახადები | 116 | 0 | 0 | | | 3250 | | 3250 |

**მუხლი 5. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 210.0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **გრანტები** | **13** | **3755.0** | **5612.4** | **3602.4** | **2010.0** | **210.0** | **0.0** | **210.0** |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები** | **131** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **133** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **133** | **3755.0** | **5612.4** | **3602.4** | **2010.0** | **210.0** | **0.0** | **210.0** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **1311** | **210.0** | **2010.0** | **0.0** | **2010.0** | **210.0** | **0.0** | **210.0** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 0.0 | 1800.0 | | 1800.0 | 0.0 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 210.0 | 210.0 | | 210.0 | 210.0 | | 210.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1312 | 3545.0 | 3602.4 | 3602.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | **0.0** |
| გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან | | | | | | | | |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 3478.3 | 3602.4 | 3602.4 | | 0.0 | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |

**მუხლი 6. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 464,3 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **სხვა შემოსავლები** | **14** | **540.7** | **446.9** | **0** | **446.9** | **464.6** | **0** | **464.6** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 244.7 | 230 | 0 | 230 | 214.4 | 0 | 214.4 |
| პროცენტები | 1411 | 83.5 | 70 | | 70 | 80 | | 80 |
| დივიდენდები | 1412 | 0 | 0 | | | 0 | | |
| რენტა | 1415 | 161.2 | 160 | 0 | 160 | 134.4 | 0 | 134.4 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 84.4 | 110 | | 110 | 94.4 | | 94.4 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 76.8 | 50 | | 50 | 40 | | 40 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 129.7 | 76.9 | 0 | 76.9 | 77.2 | 0 | 77.2 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 89.8 | 40.1 | 0 | 40.1 | 40.1 | 0 | 40.1 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 69.4 | 9.1 | | 9.1 | 9.1 | | 9.1 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 142212 | 0.4 | 0 | | | 0 | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 20 | 31 | | 31 | 31 | | 31 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 1423 | 39.9 | 36.8 | 0 | 36.8 | 37.1 | 0 | 37.1 |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 14231 | 0 | 0 | | | 0 | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | 39.9 | 36.8 | | 36.8 | 37.1 | | 37.1 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 136.7 | 140 | | 140 | 173 | | 173 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 145 | 29.6 | 0 | | | 0 | | |

**მუხლი 7. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7609,8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | **6098.3** | **7548.1** | **157.7** | **7390.4** | **7609.8** | **0** | **7609.8** |
| შრომის ანაზღაურება | 1754.9 | 1997.1 | 0 | 1997.1 | 1997.1 | 0 | 1997.1 |
| საქონელი და მომსახურება | 1165.2 | 1152.2 | 157.7 | 994.5 | 1021.1 | 0 | 1021.1 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პროცენტი | 54.5 | 87.2 | 0 | 87.2 | 71.6 | 0 | 71.6 |
| სუბსიდიები | 2660.4 | 3411.5 | 0 | 3411.5 | 3881.2 | 0 | 3881.2 |
| გრანტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 424.2 | 478.4 | 0 | 478.4 | 497.1 | 0 | 497.1 |
| სხვა ხარჯები | 39.1 | 421.7 | 0 | 421.7 | 141.7 | 0 | 141.7 |

**მუხლი 8. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 710,0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,695.8 | 6,953.2 | 710,0 |

ბ) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 90 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 105.3 | 90.0 | 90.0 |
| ძირითადი აქტივები | 58.7 | | 0.0 |
| მატერიალური მარაგები | 1.0 | 0.0 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 45.6 | 90.0 | 90.0 |
| მიწა | 45.6 | 90.0 | 90.0 |

**მუხლი 9. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2531.0** | **2876.4** | **0.0** | **2876.4** | **2905.8** | **0.0** | **2905.8** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2476.5 | 2789.2 | 0.0 | 2789.2 | 2834.2 | 0.0 | 2834.2 |
| 7011-1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2476.5 | 2778.9 | 0.0 | 2778.9 | 2744.2 | 0.0 | 2744.2 |
| 7011-2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 10.3 | 0.0 | 10.3 | 90.0 | 0.0 | 90.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 54.5 | 87.2 | 0.0 | 87.2 | 71.6 | 0.0 | 71.6 |
| **702** | **თავდაცვა** | **122.1** | **127.3** | **0.0** | **127.3** | **128.3** | **0.0** | **128.3** |
| **703** | **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **4465.5** | **6895.9** | **4722.3** | **2173.6** | **571.0** | **0.0** | **571.0** |
| **70-42** | **სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა** | **282.5** | **892.4** | **789.9** | **102.5** | **46.0** | **0.0** | **46.0** |
| 704-21 | სოფლის მეურნეობა | 282.5 | 892.4 | 789.9 | 102.5 | 46.0 | 0.0 | 46.0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 2209.2 | 4550.3 | 3932.4 | 617.9 | 325.0 | 0.0 | 325.0 |
| 704-51 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2209.2 | 4550.3 | 3932.4 | 617.9 | 325.0 | 0.0 | 325.0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 1973.8 | 1453.2 | 0.0 | 1453.2 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **468.5** | **1445.1** | **742.9** | **702.2** | **671.7** | **0.0** | **671.7** |
| **7051** | **ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება** | **370.8** | **659.6** | **0.0** | **659.6** | **671.7** | **0.0** | **671.7** |
| **705-2** | **ჩამდინარე წყლების მართვა** | **97.7** | **785.5** | **742.9** | **42.6** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **1691.8** | **1198.2** | **510.0** | **688.2** | **511.7** | **0.0** | **511.7** |
| 7063 | წყალმომარაგება | 367.4 | 384.9 | 304.0 | 80.9 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| 7064 | გარე განათება | 214.5 | 278.2 | 0.0 | 278.2 | 298.7 | 0.0 | 298.7 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1109.9 | 535.1 | 206.0 | 329.1 | 204.0 | 0.0 | 204.0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 140.9 | 166.5 | 0.0 | 166.5 | 172.8 | 0.0 | 172.8 |
| **707-2** | **ამბულატორიული მომსახურება** | **36.2** | **36.3** | **0.0** | **36.3** | **39.3** | **0.0** | **39.3** |
| **707-24** | **საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება** | **36.2** | **36.3** | **0.0** | **36.3** | **39.3** | **0.0** | **39.3** |
| **707-4** | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **104.7** | **130.2** | **0.0** | **130.2** | **133.5** | **0.0** | **133.5** |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **934.2** | **1230.9** | **0.0** | **1230.9** | **1268.8** | **0.0** | **1268.8** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 134.6 | 191.0 | 0.0 | 191.0 | 195.7 | 0.0 | 195.7 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 45.8 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 18.5 | 0.0 | 18.5 |

5

# 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

4

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **708-3** | **ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა** | **4.3** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 749.5 | 1024.9 | 0.0 | 1024.9 | 1054.6 | 0.0 | 1054.6 |
| 709 | განათლება | 1083.2 | 1348.6 | 0.0 | 1348.6 | 1661.9 | 0.0 | 1661.9 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1049.9 | 1341.0 | 0.0 | 1341.0 | 1641.9 | 0.0 | 1641.9 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 1.6 | 7.6 | 0.0 | 7.6 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| **709-23** | **საშუალო ზოგადი განათლება** | **1.6** | **7.6** | **0.0** | **7.6** | **20.0** | **0.0** | **20.0** |
| **709-8** | **სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში** | **31.7** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **356.9** | **571.6** | **0.0** | **571.6** | **427.8** | **0.0** | **427.8** |
| **710-1** | **ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა** | **146.1** | **193.2** | **0.0** | **193.2** | **185.0** | **0.0** | **185.0** |
| 7101-1 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 146.1 | 193.2 | 0.0 | 193.2 | 185.0 | 0.0 | 185.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 102.2 | 108.7 | 0.0 | 108.7 | 103.1 | 0.0 | 103.1 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 63.2 | 65.1 | 0.0 | 65.1 | 87.0 | 0.0 | 87.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 45.4 | 204.6 | 0.0 | 204.6 | 52.7 | 0.0 | 52.7 |
| | **სულ** | **11794.1** | **15860.5** | **5975.2** | **9885.3** | **8319.8** | **0.0** | **8319.8** |

**მუხლი 10. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 194,8 ათასი ლარით.

**მუხლი 11. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 - ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 - ით.

**მუხლი 12. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 194,8 ათასი ლარით.

**მუხლი 13. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 14. ხობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 210.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 97.9 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 107.6 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 4.5 ათასი ლარი;

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

**ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა–შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)**

**2.1.1 გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

**2.1.2 ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)**

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მგდომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

**2.2 კომუნალური ინფრასრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

**2.2.1 გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გაზორციელებას,;

**2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

**2.2.3 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 03)**

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

**2.2.4 სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

**2.2.5 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)**

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზ-

6

დოკუმენტი

5

# 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

რუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების განხორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა.

**1.2.6 მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)**

შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება" უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების სასმელი წყლით მომარაგებას, ასევე ქ. ხობის მოსახლეობისა და ქ. ხობში განთავსებული დაწესებულებებისთვის წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფას.

**2.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

**2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)**

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გამოკვეთილია გზები, სანიაღვრე არხები და წყალმომარაგების სისტემები.

**2.5 რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 06)**

პროგრამით ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გამოყოფილი „ასიგნებებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

**3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1149 ბავშვი. ხდება არსებული მატერიალური ბაზის განახლება და ახლის შექმნა.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

**4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ზრდის სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას. 2019 წლისათვის გათვალისწინებული პროექტით–10,0 ათასი ლარი.

**4.1.2 ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)**

მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსება, რაც 2019 წლისათვის შეადგენს 167,7 ათას ლარს.

**4.1.3 სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

**4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**4.2.1 ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

**4.2.2 კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

2019 წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა თემატური ღონისძიება, ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით.

**4.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები (მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა).

**4.4 კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)**

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი"-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი" კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის ქ. ხობში, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის, 3 მუზეუმის მუშაობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სულ სხვადასხვა წრეებსა და სექციებში გაერთიანებულია 700-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მატერიალური ბაზისა და სპორტული და სასწავლო ინვენტარებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხს.

**4.5 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

**5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადსხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

**5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა (იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიტოების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; ,,ცივი ჯაჭვის" ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა

7

დოკუმენტი

# 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

6

სეზონის განმავლობაში.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

**5.2 ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)**

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზნით 2019 წელს გამოიყოფა ყოველწლიურად 39,3 ათასი ლარი.

**5.3 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

**5.3.1 ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსება, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად დახმარება ეძლევა დიალეზით დაავადებულებს, ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

**5.3.2 სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ომის ვეტერანთა და დევნილთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

**5.3.3 ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება) (პროგრამული კოდი 06 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, ასევე ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულთა დახმარება.

**5.3.4 მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 7 პიროვნებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად..

**5.3.5 უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება უმწეოთა კვების ხარჯების დაფინანსება და გამოყოფილია 80,0 ათასი ლარი 120 ბენეფიციარის მომსახურებაზე.

**5.3.6 ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სულ 50.0 ათასი ლარი, ერთ ბავშვის შეძენისას გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 ლარი, ხოლო მესამე და ზევით 300 ლარი..

**5.3.7 უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-57000 სარეიტინგო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა, გამოყოფილია 9.0 ათასი ლარი.

**5.4 უმწეოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად 50-200 ლარის ფარგლებში, 2019 წელს გამოყოფილია 40.0 ათასი ლარი, განკარგვა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**5.5 ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 ლარს და გაიცემა ერთჯერადად, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**5.6 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება, უკიდურესად ავარიული სახლების შესაკეთებლად, გაიცემა ერთჯერადად 500-დან 3000 ლარამდე საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

## თავი III

**ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 17. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| | **ხობის მუნიციპალიტეტი** | **11966.9** | **16019.4** | **5975.2** | **10044.2** | **8514.6** | **0** | **8514.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 137 | 164 | 0 | 164 | 164 | 0 | 164 |
| | ხარჯები | 6098.3 | 7548.1 | 157.7 | 7390.4 | 7609.8 | 0 | 7609.8 |
| | შრომის ანაზღაურება | 1754.9 | 1997.1 | 0 | 1997.1 | 1997.1 | 0 | 1997.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5695.8 | 8312.4 | 5817.5 | 2494.9 | 710 | 0 | 710 |
| | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | **ვალდებულებების კლება** | **172.8** | **158.9** | **0** | **158.9** | **194.8** | **0** | **194.8** |
| **01 00** | **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | **2679.6** | **3035.3** | **0** | **3035.3** | **3100.6** | **0** | **3100.6** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **128** | **155** | **0** | **155** | **155** | **0** | **155** |
| | ხარჯები | 2522.2 | 2776.4 | 0 | 2776.4 | 2877.7 | 0 | 2877.7 |
| | შრომის ანაზღაურება | 1663.8 | 1907.8 | 0 | 1907.8 | 1907.8 | 0 | 1907.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.8 | 100 | 0 | 100 | 28.1 | 0 | 28.1 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | **ვალდებულებების კლება** | **148.6** | **158.9** | **0** | **158.9** | **194.8** | **0** | **194.8** |
| **01 01** | **ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **606.5** | **725.7** | **0** | **725.7** | **722.5** | **0** | **722.5** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **25** | **29** | | **29** | **29** | | **29** |
| | **ხარჯები** | **596.7** | **709** | **0** | **709** | **714.4** | **0** | **714.4** |
| | **შრომის ანაზღაურება** | **406.5** | **467.2** | **0** | **467.2** | **467.2** | **0** | **467.2** |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.3 | 16.7 | 0 | 16.7 | 8.1 | 0 | 8.1 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 7.5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 01 02 | ხობის მუნიციპალიტეტის მერია | 1877.6 | 2053.2 | 0 | 2053.2 | 2021.7 | 0 | 2021.7 |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **103** | **126** | | **126** | **126** | | **126** |
| | **ხარჯები** | **1871** | **1969.9** | **0** | **1969.9** | **2001.7** | **0** | **2001.7** |
| | **შრომის ანაზღაურება** | **1257.3** | **1440.6** | **0** | **1440.6** | **1440.6** | **0** | **1440.6** |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **6.5** | **83.3** | **0** | **83.3** | **20** | **0** | **20** |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0 | 10.3 | 0 | 10.3 | 90 | 0 | 90 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | **ხარჯები** | **0** | **10.3** | **0** | **10.3** | **90** | **0** | **90** |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | **ვალდებულებების კლება** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| **01 05** | **წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის ფონდი** | **195.5** | **246.1** | **0** | **246.1** | **266.4** | **0** | **266.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 54.5 | 87.2 | 0 | 87.2 | 71.6 | 0 | 71.6 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | **ფინანსური აქტივების ზრდა** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | **ვალდებულებების კლება** | **141** | **158.9** | **0** | **158.9** | **194.8** | **0** | **194.8** |

8

დოკუმენტი

# 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **122.2** | **127.3** | **0** | **127.3** | **128.3** | **0** | **128.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 9 | 9 | 0 | 9 | 9 | 0 | 9 |
| | ხარჯები | 122.1 | 126.6 | 0 | 126.6 | 128.3 | 0 | 128.3 |
| | შრომის ანაზღაურება | 91.1 | 89.3 | 0 | 89.3 | 89.3 | 0 | 89.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0.7 | 0 | 0.7 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 02 03 | **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა** | **122.2** | **127.3** | **0** | **127.3** | **128.3** | **0** | **128.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 9 | 9 | | 9 | 9 | | 9 |
| | ხარჯები | 122.1 | 126.6 | 0 | 126.6 | 128.3 | 0 | 128.3 |
| | შრომის ანაზღაურება | 91.1 | 89.3 | 0 | 89.3 | 89.3 | 0 | 89.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0.7 | 0 | 0.7 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 00 | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **6604.7** | **9483.9** | **5975.2** | **3508.7** | **1708.4** | **0** | **1708.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 895 | 1383.2 | 157.7 | 1225.5 | 1099.8 | 0 | 1099.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5687 | 8100.7 | 5817.5 | 2283.2 | 608.6 | 0 | 608.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 22.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 01 | **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)** | **2231.9** | **4550.3** | **3932.4** | **617.9** | **325** | **0** | **325** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | ხარჯები | 156.9 | 163.9 | 0 | 163.9 | 100 | 0 | 100 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2052.3 | 4386.4 | 3932.4 | 454 | 225 | 0 | 225 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 22.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 01 01 | **გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **2049.5** | **3741.1** | **3241.8** | **499.3** | **325** | **0** | **325** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 156.9 | 163.9 | 0 | 163.9 | 100 | 0 | 100 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1869.9 | 3577.2 | 3241.8 | 335.4 | 225 | 0 | 225 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 22.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 01 02 | **ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **182.4** | **809.2** | **690.6** | **118.6** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 182.4 | 809.2 | 690.6 | 118.6 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 02 | **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **2160.3** | **2643.3** | **1252.9** | **1390.4** | **1183.4** | **0** | **1183.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 738.1 | 1219.3 | 157.7 | 1061.6 | 999.8 | 0 | 999.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1422.2 | 1424 | 1095.2 | 328.8 | 183.6 | 0 | 183.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 02 01 | **გარე განათება** | **214.5** | **278.2** | **0** | **278.2** | **298.7** | **0** | **298.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 214.5 | 278.2 | 0 | 278.2 | 298.7 | 0 | 298.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 02 02 | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **367.4** | **384.9** | **304** | **80.9** | **9** | **0** | **9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 33.9 | 30 | 0 | 30 | 6 | 0 | 6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 333.5 | 354.9 | 304 | 50.9 | 3 | 0 | 3 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 02 03 | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია** | **1109.9** | **535.1** | **206** | **329.1** | **204** | **0** | **204** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 28.3 | 70.9 | 0 | 70.9 | 30 | 0 | 30 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1081.6 | 464.2 | 206 | 258.2 | 174 | 0 | 174 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 02 04 | **სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **97.7** | **785.5** | **742.9** | **42.6** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 90.6 | 182.6 | 157.7 | 24.9 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7.1 | 602.9 | 585.2 | 17.7 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 02 05 | **დასუფთავების ღონისძიებები** | **370.8** | **497.2** | **0** | **497.2** | **501.2** | **0** | **501.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 370.8 | 495.2 | 0 | 495.2 | 500.3 | 0 | 500.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 2 | 0 | 2 | 0.9 | 0 | 0.9 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 02 06 | **მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია** | **0** | **162.4** | **0** | **162.4** | **170.5** | **0** | **170.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 0 | 162.4 | 0 | 162.4 | 164.8 | 0 | 164.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 5.7 | 0 | 5.7 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 04 | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **16.3** | **4.1** | **4.1** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 16.3 | 4.1 | 4.1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 05 | **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** | **222.4** | **833** | **785.8** | **47.2** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 222.4 | 833 | 785.8 | 47.2 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 03 06 | **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** | **1973.8** | **1453.2** | **0** | **1453.2** | **200** | **0** | **200** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1973.8 | 1453.2 | 0 | 1453.2 | 200 | 0 | 200 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 04 00 | **განათლება** | **1083.2** | **1348.6** | **0** | **1348.6** | **1661.9** | **0** | **1661.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 1083.2 | 1325.3 | 0 | 1325.3 | 1648.3 | 0 | 1648.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 23.3 | 0 | 23.3 | 13.6 | 0 | 13.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 04 01 | **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** | **1049.9** | **1341** | **0** | **1341** | **1641.9** | **0** | **1641.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 1049.9 | 1317.7 | 0 | 1317.7 | 1628.3 | 0 | 1628.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 23.3 | 0 | 23.3 | 13.6 | 0 | 13.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 04 05 | **საჯარო სკოლების დაფინანსება** | **1.6** | **7.6** | **0** | **7.6** | **20** | **0** | **20** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 1.6 | 7.6 | 0 | 7.6 | 20 | 0 | 20 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 04 02 | **მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა** | **31.7** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 31.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 00 | **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **935.3** | **1230.9** | **0** | **1230.9** | **1268.8** | **0** | **1268.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 934.2 | 1144.4 | 0 | 1144.4 | 1212.8 | 0 | 1212.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 86.5 | 0 | 86.5 | 56 | 0 | 56 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 1.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 01 | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **134.6** | **191** | **0** | **191** | **195.7** | **0** | **195.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 134.6 | 191 | 0 | 191 | 192 | 0 | 192 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 3.7 | 0 | 3.7 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 01 01 | **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** | **4.8** | **12.5** | **0** | **12.5** | **10** | **0** | **10** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 4.8 | 12.5 | 0 | 12.5 | 10 | 0 | 10 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 01 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები** | **112.8** | **160.5** | **0** | **160.5** | **167.7** | **0** | **167.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 112.8 | 160.5 | 0 | 160.5 | 164 | 0 | 164 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 3.7 | 0 | 3.7 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 01 03 | **სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები** | **17** | **18** | **0** | **18** | **18** | **0** | **18** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 17 | 18 | 0 | 18 | 18 | 0 | 18 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 02 | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **50.1** | **15** | **0** | **15** | **18.5** | **0** | **18.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 50.1 | 15 | 0 | 15 | 18.5 | 0 | 18.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

9

დოკუმენტი

# 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

8

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 | **კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული განვითარების ხელშეწყობა** | **34.5** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 34.5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 02 02 | **ძეგლთა დაცვის ხარჯები** | **11.2** | **15** | **0** | **15** | **18.5** | **0** | **18.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 11.2 | 15 | 0 | 15 | 18.5 | 0 | 18.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 02 03 | **კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება** | **0.1** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 0.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 02 04 | **ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა** | **4.3** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 4.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 03 | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **7.6** | **0** | **0** | **0** | **7** | **0** | **7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 6.5 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 1.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 04 | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **5.8** | **6** | **0** | **6** | **9** | **0** | **9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 5.8 | 6 | 0 | 6 | 9 | 0 | 9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 05 | **კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა** | **737.2** | **1018.9** | **0** | **1018.9** | **1038.6** | **0** | **1038.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 737.2 | 932.4 | 0 | 932.4 | 986.3 | 0 | 986.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 86.5 | 0 | 86.5 | 52.3 | 0 | 52.3 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 00 | **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **541.9** | **793.4** | **0** | **793.4** | **646.6** | **0** | **646.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 541.6 | 792.2 | 0 | 792.2 | 642.9 | 0 | 642.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 1.2 | 0 | 1.2 | 3.7 | 0 | 3.7 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 01 | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **104.7** | **130.2** | **0** | **130.2** | **133.5** | **0** | **133.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 104.7 | 129 | 0 | 129 | 129.8 | 0 | 129.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 1.2 | 0 | 1.2 | 3.7 | 0 | 3.7 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა** | **36.2** | **36.3** | **0** | **36.3** | **39.3** | **0** | **39.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 36.2 | 36.3 | 0 | 36.3 | 39.3 | 0 | 39.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **277.8** | **333.6** | **0** | **333.6** | **357.8** | **0** | **357.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 277.7 | 333.6 | 0 | 333.6 | 357.8 | 0 | 357.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 01 | **ავადმყოფთა სოციალური დახმარება** | **146.1** | **193.2** | **0** | **193.2** | **185** | **0** | **185** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 146.1 | 193.2 | 0 | 193.2 | 185 | 0 | 185 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 02 | **სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)** | **4.4** | **3.8** | **0** | **3.8** | **4.5** | **0** | **4.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 4.4 | 3.8 | 0 | 3.8 | 4.5 | 0 | 4.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 03 | **მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები** | **8.1** | **8.8** | **0** | **8.8** | **9.2** | **0** | **9.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 8.1 | 8.8 | 0 | 8.8 | 9.2 | 0 | 9.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 04 | **მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი),დედმამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **11.6** | **11.8** | **0** | **11.8** | **13.1** | **0** | **13.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 11.6 | 11.8 | 0 | 11.8 | 13.1 | 0 | 13.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 05 | **უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება** | **63.2** | **65.1** | **0** | **65.1** | **87** | **0** | **87** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 63.2 | 65.1 | 0 | 65.1 | 87 | 0 | 87 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 06 | **ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **35.9** | **41.9** | **0** | **41.9** | **50** | **0** | **50** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 35.8 | 41.9 | 0 | 41.9 | 50 | 0 | 50 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 03 07 | **უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება** | **8.5** | **9** | **0** | **9** | **9** | **0** | **9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 8.5 | 9 | 0 | 9 | 9 | 0 | 9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 04 | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **55** | **55** | **0** | **55** | **40** | **0** | **40** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 54.8 | 55 | 0 | 55 | 40 | 0 | 40 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 05 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **24.4** | **183** | **0** | **183** | **30** | **0** | **30** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 24.4 | 183 | 0 | 183 | 30 | 0 | 30 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 06 06 | **მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** | **43.8** | **55.3** | **0** | **55.3** | **46** | **0** | **46** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0 | 0 | | | 0 | | |
| | ხარჯები | 43.8 | 55.3 | 0 | 55.3 | 46 | 0 | 46 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

10

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №48

9

2018 წლის 28 დეკემბერი ქ. ხობი

## ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად:**

**1. დამტკიცდეს თანდართული ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა.**

**2. განკარგულება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.**

**3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).**

**ედიშერი ჯობავა,**
**საკრებულოს თავმჯდომარე**

## დანართი

**ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა და თანხის გაცემის წესი.**

**მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო, განსახორციელებელი საქმიანობა და მიზანი**

1. პროგრამის რეგულირების სფეროა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა მოიცავს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მხრიდან ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლას და სათანადო ფინანსური დახმარების გაწევას, ასევე სხვადასხვა კატეგორიებზე სადღესასწაულო და მნიშვნელოვან დღეებში ერთჯერადი წახალისების თანხის გაცემას.

3. პროგრამის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

**მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე**

პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს მიეკუთვნებიან ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

ა) მარტოხელა პენსიონერები;

ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;

გ) ომის ვეტერანები;

დ) არასრულწლოვანი ობლები;

ე) მრავალშვილიანი ოჯახები;

ვ) ავადმყოფები;

ზ) უმუშევრები;

თ) ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები;

ი) მოქალაქეები, რომლებიც სტიქიის შედეგად საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას;

კ) ახალშობილთა ოჯახები;

ლ) 100 და 100 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები;

მ) დიალიზზე მყოფი მოქალაქეები;

ნ) ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულები;

ო) 18 წლამდე ასაკის მქონე პირები;

პ) უსახლკაროები, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს;

ჟ) „ჩ“ ჰეპატიტით დაავადებული პირები;

რ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია;

ს) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები;

ტ) შშმ პირები (მაღალ-ტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) ერთჯერადი დახმარების ფარგლებში).

ფ) 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

**მუხლი 3. პროგრამის მოქმედების ვადა, მისი დაწყების და დასრულების დრო**

პროგრამა მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. გასაცემლის პერიოდულობა**

პროგრამით განსაზღვრული გასაცემლები შეიძლება გაიცეს პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე, შემოსული განცხადებებისა და წინადადებების შესაბამისად, გარდა მე-13 მუხლით კონკრეტული თარიღისთვის განსაზღვრული ერთჯერადი გასაცემლებისა.

**მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 473800 (ოთხას სამოცდაცამეტიათას რვაასი) ლარს და ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**მუხლი 6. პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე**

პროგრამის განხორციელების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესებით.

**მუხლი 7. პროგრამის ადმინისტრირების, მისი მართვის, ზედამხედველობის, ინსპექტირებისა და კონტროლის წესები და პირობები**

1. პროგრამის ადმინისტრირებას, მართვას, ზედამხედველობას და ინსპექტირებას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური.

2. კონტროლის წესები და პირობები რეგულირდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 8. გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებაზე უფლებამოსილი პირები**

1. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური - იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარები წინასწარ არის დადგენილი წლის ან წლის გარკვეული ან/და კონკრეტული პერიოდისთვის;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია–იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარების დადგენა მოითხოვს შერჩევას, შემოწმებას, შეფასებას და კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებას.

2. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილებას იღებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი, რისთვისაც გამოიცემა მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება.

**მუხლი 9. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები**

1. პროგრამით სარგებლობისათვის სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი (ფულადი დახმარების შემთხვევაში);

დ) კონკრეტული ფაქტის გამო დახმარების გაწევის შემთხვევაში, ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილობითი დოკუმენტი (დასახმარებელი სუბიექტის სოციალური მდგომარეობის დასაბუთებით).

ვ) საოპერაციო ხარჯების ანაზღაურების შემთხვევაში - ფორმა №100 (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), ანგარიშფაქტურა და კალკულაცია, ფურცელი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან საავადმყოფოდან სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელ თანხაზე.

2. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენ დამატებით დოკუმენტთა ნუსხა კონკრეტული პროგრამისთვის (გასაცემლისთვის) განისაზღვრება ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით.

**მუხლი 10. სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა**

პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 100 (ასი) ლარით, ხოლო მაქსიმალური - 3000 (სამი ათასი) ლარით.

**მუხლი 11. ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა პირობები**

სოციალური დახმარების თაობაზე განაცხადი მიიღება როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით.

**მუხლი 12. ფინანსური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი და მონაწილე მხარეები**

ფინანსური დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით და აღსრულდება დასახმარებელი სუბიექტის საბანკო ანგარიშზე ან ამ სუბიექტის მომსახურე შესაბამისი იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ დასახმარებელი სუბიექტი და ხობის მუნიციპალიტეტის მერია.

**მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა**

| № | პროგრამის დასახელება | პროგრამის ბიუჯეტი (ლარი) | პროგრამის მოქმედების ვადა | პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა | პროგრამის ღირებულება პროგრამის ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურება | 87000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 135 | 644 |
| 2 | სადღესასწაულო დღეებში: | 13100 | | | |
| | მრავალშვილიანთა დახმარება | 12000 | 01.03.2019 - 30.03.2019 | 80 | 150 |
| | არასრულწლოვან ობოლთა დახმარება | 300 | 01.06.2019 - 30.06.2019 | 2 | 150 |
| | 100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება საახალწლოდ ერთჯერადად. | 800 | 01.03.2019 - 31.12..2019 | 5 | 150 |
| 3 | დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის | 50000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 350 | პირველ და მეორე ბავშვზე - 100;მესამე-მეოთხე და მეხუთე ბავშვზე - 300, მეექვსე და ზევით ბავშვზე 600 ლარი |
| 4 | სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება ყოველთვიურად (100000 და ნაკლები ქულა,ქ. ხობში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი) | 9000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 100 ოჯახი | 1,77 |
| 5 | ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (ერთჯერადად) | 30000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | | 300-დან 3000-მდე |
| 6 | ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის | 40000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 400 | 100 ლარი |
| 7 | საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო,იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარმოდგენისას, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე,მხოლოდ პაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით. | 127000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 150-200 | ანგარიშ-ფაქტურით წარმოდგენილი ხარჯების 0%-იდან 50%-ის ფარგლებში და არაუმეტეს 1000 ლარისა |
| 8 | დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება | 18000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 16 | 100 |
| 9 | დევნილის დაკრძალვის ხარჯები | 3000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 15 | 200 |
| 10 | ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები | 1500 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 6 | 250 |
| 11 | დახმარება ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის | 1600 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 16 | 100 |
| 12 | სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში,რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება | 40000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 40 | 500-დან 3000-მდე |
| 13 | სამამულო ომის ვეტერანების დახმარება (9 მაისი) | 1000 | 01.05.2019 | 2 | 500 |
| 14 | 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება | 7000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 20-30 | წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით 100-500 ლარამდე |
| 15 | 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯების) თანადაფინანსება | 8000 | 01.01.2019 - 31.12.2019 | 15-25 | წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტით. |
| 16 | 8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 1800 | | 9 | 200 |
| 17 | აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 3400 | 01.08.2019 | 17 | 200 |
| 18 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ ერთჯერადი დახმარება | 1400 | 30082019 | 7 | 200 |
| 19 | უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი | 3900 | 1.09.2019 | 5 | 100-დან 150-მდე |
| 20 | „ჩ“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსება პროგრამული მკურნალობის დასაწყებად (ერთჯერადად) | 15000 | 30.09.2019 | 80 | წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, თანადაფინანსება 70% და არა უმეტეს 200 ლარისა |
| 21 | ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება (პოლიციიდან,სასამართლო და გენდერული თანასწორობის,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიიდან შემოსული ოქმის საფუძველზე) | 2100 | 1..05.2019 | 3 | 300 |
| 22 | შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია,მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) დაფინანსება (ერთჯერადად) | 10 000 | 30.05.2019 | 20-30 | წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, თანადაფინანსება 50% და არა უმეტეს 500 ლარისა |
| | **ჯამი** | **473800** | | | |

ფრთხილად, ვირუსია!

# წითელას პრევენციისთვის

წითელა მწვავე ვირუსულ დაავადებებს მიეკუთვნება, თუმცა ბოლო წლებში მისმა ეპიდემიოლოგიამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გამოიხატება შემთხვევათა შორის უფროსი ასაკის ბავშვებისა და მოზრდილების წილის ზრდაში.



2016-2017 წლების მონაცემებით წითელას შემთხვევების მატება დაფიქსირდა ევროპის და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

განსაკუთრებით მოიმატა შემთხვევების რიცხვმა 2018 წელს. წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით დარეგისტრირდა 1800-ზე მეტი შემთხვევა, ძირითადად 1 დან 40 წლის ასაკამდე. 20-40 წლის ასაკში შემთხვევების მომატება გამოწვეულია იმით, რომ 90-იან წლებში გასაგები მიზეზების გამო ამ წლებში დაბადებული ბავშვები არ იყვნენ აცრილი წითელას გეგმიური ორჯერადი ვაქცინაციით 1 წლის და 5 წლის ასაკში, რაც გახდა ამჟამად მიმდინარე ეპიდაფეთქებების მიზეზი.

ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს წითელას არცერთი შემთხვევა არ იყო დარეგისტრირებული, 2017 წელს გვქონდა 1 შემთხვევა, 2018 წელს გვქონდა 12 შემთხვევა, მათ შორის დეკემბერში 6 შემთხვევა. 2019წლის იანვარში უკვე წითელას 17 შემთხვევა დაფიქსირდა. თებერვლის პირველ 5 დღეში კი 2 შემთხვევა.

არსებული ეპიდაფეთქების გამო საქართველოს მთავრობის დადგენილებით ტარდება განსაკუთრებული ღონისძიებები წითელას გავრცელების შემცირებისა და თავიდან აცილებისთვის. ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარმოებს წითელას თითეული შემთხვევის კერის ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა, კონტაქტირებულ პირებს ეძლევათ რეკომენდაციები დაუყოვნებლივ ჩაიტარონ წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია ასაკის მიუხედავად.

მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტშიც წითელას საწინააღმდეგო არაგეგმიური ვაქცინაცია უტარდება 1-დან 40 წლის ჩათვლით ასაკის ადამიანებს, რომლებიც არიან აუცრელები ან არ ახსოვთ თავიანთი აცრის სტატუსი, ხოლო სურვილის შემთხვევაში 40 წლის ასაკის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ჩაიტაროს წითელას საწინააღმდეგო აცრა. ბბოლო ერთი თვის განმავლობაში წითელას არაგეგმიური აცრა უკვე ჩაუტარდა 1 დან 40 წლის ჩათვლით 309 ადამიანს.

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცენტრის მიერ მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული სამედიცინო დაწესებულება უზრუნველყოფილია წითელას და კიდევ 10 სახეობის ვაქცინით უწყვეტ რეჟიმში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სრულიად უფასოდ, რაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი ბენეფიციარისთვის.

კიდევ ერთხელ მივმართავთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მშობლებს!

გახსოვდეთ, წითელა ვაქცინაციით მართვადი დაავადებაა. მთავარი არის პროფილაქტიკა, რომლის ერთადერთი საშუალებაა უფასო და უსაფრთხო ვაქცინაცია.

# ღორის გრიპისა და სეზონური გრიპის პროფილაქტიკის შესახებ

ჯანდაცვის ცენტრის მიერ დაავადებათა კონტროლიდან მიღებული დავალების შესაბამისად, ყოველწლიურად ტარდება გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებების მიმდინარეობაზე ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა.

დაავადების მატებას ადგილი ჰქონდა გასული წლის დეკემბრის თვეში. მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებებში გაზრდილი იყო მომართვიანობა, ადგილი ჰქონდა გართულებებსაც.

2018-2019 წლის დეკემბერ-იანვარში დაფიქსირდა ეგრეთწოდებული ღორის გრიპის H1N1-ის შემთხვევები, რომელიც გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი მძიმე მიმდინარეობით და გართულებებით.

გრიპის ამ სახეობას ღორის გრიპი ჰქვია იმიტომ, რომ მასში შედის ღორის გრიპის 2 გენეტიკური შტამი, ფრინველის გრიპის ერთი გენეტიკური შტამი და ადამიანის გრიპის ერთი გენეტიკური შტამი, რადგან მასში დომინირებს ღორის გრიპის შტამები, სწორედ ამიტომ უწოდებენ მას ღორის გრიპს.

დაავადებათა კონტროლის მიერ დროულად იქნა მომარაგებული ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატ ტამიფლუთი.

პრეპარატი განკუთვნილი იყო მაღალი რისკის მქონე მოსახლეობისთვის, როგორებიც არიან ორსულები, ქრონიკული დაავადების მქონე, საპენსიო ასაკის, უმწეო ადამიანებისთვის და ბავშვებისთვის. აღნიშნული რისკ ჯგუფებისთვის გაიცემოდა პრეპარატი ტამიფლუ და შემდგომშიაც გაიცემა ტერიტორიული სამედიცინო დაწესებულების ოჯახის ექიმის მიერ გაცემული ფორმა №100-ის და გამოწერილი რეცეპტის წარმოდგენის შემდეგ.

მივმართავ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ყურადღებით იყვნენ გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებების მიმართ, განსაკუთრებით გრიპის მძიმე ფორმების დროს, რომელსაც ახასიათებს ცხელება (39-40 გრადუსი), ყელის და თავის ტკივილი, სუნთქვის გაძნელება, ძლიერი შემცივნება, სახსრების ტკივილი, რომელიც არ ემორჩილება მკურნალობას, მაშინვე მიმართონ ოჯახის ექიმს.




გრიპის პროფილაქტიკისთვის ყველაზე კარგი საშუალებაა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება. ამ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტრო გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციით უფასოდ უზრუნველყოფს ისეთ რისკ ჯგუფებს, როგორიცაა 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულები, ორსულები,სამედიცინო პერსონალი. სხვა კატეგორიის პირებისთვის გრიპის ვაქცინის შეძენა შესაძლებელია სააფთიაქო ქსელში.

***ჯუმბერ ტურავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი–პროფილაქტიკოსი.***

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ანა კვიკვინიამ ზეპირი მათემატიკური ანგარიშის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა



**ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი საერთაშორისო კონკურსის, „მიქსიკე-პრანგლიმინე“ საქართველოს ზეპირი მათემატიკური ანგარიშის ფინალური ეტაპი გაიმართა.**

კონკურსის 50 ფინალისტს შორის იყო ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საჯარო სკოლის 6 წარმომადგენელი. ყველა მათგანი თავისი კატეგორიის საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეცხრე კლასის მოსწავლე ანა კვიკვინია, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა VII-XII კლასელ გოგონათა შორის. მან 11178 ქულა აიღო და 3500 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს. ამ გამარჯვებით ანამ საერთაშორისო ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

„სკოლის დირექცია აღნიშნული შედეგებისთვის მადლიერებას გამოხატავს მათემატიკისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმატებულ მოსწავლეებს ასწავლიდნენ. ესენი არიან: **ლალი ფეტელავა, ბელა ლაგვილავა, ნანა კორტავა, კობა კვიკვინია, ნინო, კვიკვინია და ნანი კვიკვინია**.

გამარჯვებულ ანა კვიკვინიას კი ვუსურვებთ საერთაშორისო ფინალში საქართველოს სახელის ღირსეულად დაცვას“-აღნიშნა სკოლის წარმომადგენელმა.

**პირველი მაისის საჯარო სკოლის სხვა წარმომადგენელთა შედეგები კი ასეთია:**

**კობა კვიკვინია** (პედაგოგი)-პირველი ადგილი ზრდასრულ და მასწავლებელ მამაკაცთა შორის-7927 ქულა.

**ლუკა კახიანი** (მე-6 კლასი)-მე-3 ადგილი მე-4–6 კლასელთა შორის-7898 ქულა.

**გიორგი ყორშია** (მე-6 კლასი)-მე-4 ადგილი მე-4–6 კლასელთა შორის-7821 ქულა.

**თეიმურაზ კვიკვინია** (მე-8 კლასი) -მე-4 ადგილი მე-7–12 კლასელ ჭაბუკთა შორის-9773ქულა.

**ნიკა ბუკია** (მე-7 კლასი)-მე-5 ადგილი მე-7–12 კლასელ ჭაბუკთა შორის-8477 ქულა.

*საერთაშორისო ფინალი 27 აპრილს ესტონეთის ქალაქ კილინგი ნიომეში გაიმართება. სადაც საქართველოსთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, სლოვენიის და უკრაინის წარმომადგენლები.*

## ბოკუჩავას თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დიანა ლომაიამ დაიკავა



თბილისის ჭადრაკის სასახლეში ამაგდარი ქართველი მწვრთნელის ალექსანდრე ბოკუჩავას თასის გათამაშება დასრულდა. ასპარეზობა შვეიცარული სისტემით 7 ტურად გაიმართა გოგონათა და ჭაბუკებს შორის.

გოგონათა შორის დამაჯერებლად გაიმარჯვა ფოთის საჭადრაკო სკოლის მოსწავლემ ხობელმა დიანა ლომაიამ (მწვრთნელი გოჩა ჩაჩუა). მის აქტივში 7-დან 6,5 ქულაა. ამ გამარჯვებით დიანამ 16 წლამდე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მოიპოვა ადგილი.

ტურნირის დახურვაზე საპრიზო სამეულში გასული მოჭადრაკეები დააჯილდოეს: მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებულმა, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და ალექსანდრე ბოკუჩავას მეუღლემ მაია ბოკუჩავამ.

## წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა



თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება–„ჩემი საყვარელი წიგნი“ გაიმართა. ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ქართველი და უცხოელი მწერლების წიგნებიდან ნაწყვეტები წაიკითხეს, მხატვრულ ლიტერატურაზე და წიგნიერების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და „კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის“ თანამშრომლები ესწრებოდნენ.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტში მეოთხედ ჩატარდა. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება წიგნის კითხვის პოპულარიზაციას და ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

## წარმატება ფოთში

8-11 თებერვალს ქ. ფოთში ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში 8-16 წლის გოგონათა და ჭაბუკთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ხობის სასპორტო სკოლის მოჭადრაკეებმა.



12 წლის **ნინი დოლბაიამ** მეორე ადგილი დაიკავა.

8 წლის ბიჭებში მე-2-3 საპრიზო ადგილი მოიპოვა დებიუტანტმა 7 წლის **გიორგი იოსავამ**.

16 წლიან გოგონებში მე–2-3 ადგილი გაიყო **ლიკა ჭანტურიამ**.

16 წლიანთა ასპარეზობაში საპატიო მე-4 ადგილი მოიპოვა 12 წლის **ნიკა ბუკიამ**.

12 წლიან გოგონებში მე–5 იყო **მარიამ ლაგვილავა**.

ყველა ზემოთ აღნიშნულმა მოჭადრაკემ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) საგზური, რომელიც 5-16 აპრილს ქ.თბილისში ჩატარდება.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბექან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.